დამტკიცებულია:
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს დადგენილებით #502782;
29.04.2026 წ. ოქმი #4

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

შესავალი

საქართველოს კანონი "განათლების ხარისხის განვითარების" შესახებ განსაზღვრავს მექანიზმების სახეებს, რომლებიც გამოიყენება ხარისხის უზრუნველსაყოფად საქართველოში. ეს მექანიზმები იყოფა ორ ჯგუფად: შიდა და გარე მექანიზმებად.

განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის გარე მექანიზმია ავტორიზაცია. განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. ამ მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/პირები კოორდინირებულად ახდენენ უნივერსიტეტში საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას, ხოლო შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით უნივერსიტეტის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით - გადაწყვეტილებების მიღებას.

შეფასების სისტემის შექმნასა და განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართულნი
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები. ხარისხის უზრუნველყოფა თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობაა. ხარისხის უზრუნველყოფა ინტეგრირებულია უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა პროცესში.

1. **ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანებია:**

უნივერსიტეტის, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება სფეროს თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, ხარისხის შიდა კულტურის მუდმივი განვითარება და პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა

2. **ხარისხის მართვა (PDCA ციკლი)**

ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს უნივერსიტეტში მიმდინარე ძირითადი და დამხმარე პროცესების ანალიზს, ამ პროცესების სისტემურ შეფასებას, გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას, ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვას, უზრუნველყოფას. განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვებას, კვლავ აღმოჩენილი გამოწვევების დასაძლევად საჭირო ნაბიჯების გადადგმას.

ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მეთოდს (PDCA):

- P - PLAN (დაგეგმე) - მიზნისა და მიზნის მისაღწევი პროცესების განსაზღვრას;
- D - DO (განახორციელე) - პროცესის (ღონისძიებების) განხორციელებას;
- C- CHECK (შეამოწმე) - მიმდინარე პროცესსა და მიღებულ შედეგებზე მონიტორინგს, მიღწეული შედეგების შესაბამისობას დასახულ მიზანთან;
- A - ACT(იმოქმედე/განავითარე) - შესრულების პროცესის მუდმივ სრულყოფას.

ხარისხის მართვა და უზრუნველყოფა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ყველა სტანდარტშია ინტეგრირებული. შესაბამისად, პროცესების ციკლურობიდან გამომდინარე, შეფასების შედეგების საფუძველზე, მუშავდება

რისკების სისტემა და გაუმჯობესების მექანიზმები მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით (PDCA) უნივერსიტეტი გამოხატავს მზადყოფნას, გააუმჯობესოს საკუთარი საქმიანობა, თითოეული პროცესის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უწყვეტი ციკლით.

3. უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი პროცესები

მიმდინარე ძირითადი პროცესებია :
ა) სტრატეგიული განვითარება;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
გ) სასწავლო პროცესის ორგანიზება;
დ) პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები.

ა) **სტრატეგიული განვითარება**
სტრატეგიული განვითარების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგ რეგულაციებსა და ინსტრუმენტებზე დაყრდნობით:

1. მისიის,ხედვის,ღირებულებების შემუშავება/განხილვა/ცვლილებები/დამტკიცება/გაზიარება;
2. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება/განხილვა/ცვლილებები/დამტკიცება/ გაზიარება/შეფასების მექანიზმები;
3. უნივერსიტეტის წლიური ანგარიში (ჩართული პირები, ვადები, ძირითადი საკითხების სამოქმედო გეგმის შესაბამისად შესრულების მდგომარეობა და სხვ.).

პროცესი ციკლური ხასიათისაა. მონაცემების პერიოდულად შეგროვებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება სტრატეგიული მიზნების/ამოცანების კორექტირება, ამოცანების დამატება (საჭიროების შესაბამისად), უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. შესაძლებელია გაიცეს რეკომენდაცია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიასთან მიმართებით.

ბ) **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების განვითარება**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/ პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების განვითარება ხორციელდება შემდეგ რეგულაციებსა და ინსტრუმენტებზე დაყრდნობით:

1. **პროგრამების დაგეგმვა** - პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზის და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის საფუძველზე;
2. **ახალი პროგრამ(ებ)ის დამატება** - პროგრამ(ებ)ის შემუშავება - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად, დუალური და კოოპერაციული პროგრამების შემთხვევაში პარტნიორ ორგანიზაციათა მოძიება და ხელშეკრულებების (კოოპერაციულის შემთხვევაში დასაშვებია მემორანდუმი ან შეთანხმება) გაფორმება; ასევე, ერთობლივი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ხელშეკრულებების/მემორანდუმების გაფორმება, ადამიანური რესურსის მოძიება, პროგრამის შესაბამისი მატერიალური, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა;
3. **პროგრამ(ებ)ში ცვლილებების შეტანა და პროგრამ(ებ)ის დამტკიცება** -უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციის - ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად'';
4. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)_ის განხორციელების ხარისხის შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად** - პროგრამის შეფასების აღნიშნული ინსტრუმენტი უნივერსიტეტს შესაძლებლობას მისცემს, გაზომოს წლიდან წლამდე

მიღწეული პროგრესი პროგრამის განვითარების კონტექსტში და მისი გავლენა საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგებზე;

5. **პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების ხარისხის შეფასება განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტების შესაბამისად** - შეფასების კრიტერიუმების შედეგების გათვალისწინებით პროგრამის შეფასების პერიოდში გამოვლენილი იქნება ძლიერი და სუსტი მხარეები; პროგრამისა და სწავლების გასაუმჯობესებლად დაიგეგმება მიზნობრივი ღონისძიებები;
6. **პროგრამ(ებ)ის განვითარების მიზნით კვლევების ჩატარება** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მომზადება/გადამზადების სპეციფიკიდან გამომდინარე სამიზნე ჯგუფები შეიძლება იყოს პროფესიული სტუდენტები, მსმენელები, კურსდამთავრებულები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ინსტრუქტორები, დამსაქმებლები, სასწავლო საწარმოები, პარტნიორი ორგანიზაციები, კვლევები ხორციელდება კვლევის ჩატარების მეთოდოლოგიის შესაბამისად;
7. **შეფასების პროცესის ვერიფიკაცია** - შეფასების პროცესის/ინსტრუმენტების/მტკიცებულებათა ვალიდაცია/ ვერიფიკაცია ხორციელდება პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების ვერიფიკაციის", ,,პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესების" შესაბამისად;
8. **მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრა** - შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 1- წლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

პროცესი ციკლური ხასიათისაა. ხორციელდება მონაცემების გაწერილი პერიოდულობით შეგროვება და შედეგების ანალიზის საფუძველზე პროგრამების მუდმივი განვითარება (თემატიკის გამრავალფეროვნება, სწავლების მეთოდების, სასწავლო რესურსების, მოდულის განხორციელების მიდგომების, საათების სქემის შეცვლა და სხვ.) უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

გ) სასწავლო პროცესის ორგანიზება

სასწავლო პროცესის ორგანიზება ხორციელდება შემდეგ რეგულაციებსა და ინსტრუმენტებზე დაყრდნობით:

1. სასწავლო პროცესის დაგეგმვა იმიტირებული/დუალური/კოოპერაციული სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ,,**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის"** გათვალისწინებით;
2. პროფესიული სტუდენტის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური შეფასების უზრუნველყოფის მიზნებისთვის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია ,,პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი"
3. **სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესით**;
4. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის წესით;
5. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება (მათ შორის სასწავლო ცხრილისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სწრებადობის აღრიცხვის ჟურნალის კონტროლი და სხვ.);
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება (პროფესიული სტუდენტთა/მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად ინდ. გეგმის შემუშავება, პროცესის კონტროლი).

პროცესი ციკლური ხასიათისაა. ხორციელდება მონაცემების პერიოდული შეგროვება და ითვალისწინებს სასწავლო საქმიანობაში ჩართული პირების საკონტაქტო /შეფასების პროცესებზე დასწრებას და მათ შედარებას კალენდარულ გეგმებთან, საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენას, სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას და სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების მუდმივ შეფასებას, განვითარებას და მიღებული შედეგების გაუმჯობესების ხელშეწყობის უწყვეტად განვითარებას მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

დ) პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შიდა რეგულაციებზე დაყრდნობით და ემსახურება პროფესიულ სტუდენტთა უფლებების დაცვასა და სასწავლო პროცესის გამართულ ორგანიზებას:

1. პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის პროცედურები;
2. გარე და შიდა მობილობის პროცედურები;
3. კვალიფიკაციის მინიჭების და საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის პროცედურები;
4. ფორმალური და არაფორმალური (არსებობის შემთხვევაში) განათლების აღიარების პროცედურები;
5. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. პროფესიული სტუდენტების ხელშეკრულებების მომზადება/გაფორმება;
7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება;

პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირებული რეგულაციები, სასწავლო პროცესის გამართულად ორგანიზების მიზნით ექვემდებარება გადახედვას პროცესების სრულყოფის/გაუმჯობესების მიზნით მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

4. დამხმარე პროცესები

უნივერსიტეტში დამხმარე პროცესების შეფასება ეყრდნობა პროცესების მონიტორინგს, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგებს. ძირითადი მიგნებების შესახებ ანგარიში მიეწოდება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსს შემდგომი რეაგირებისათვის.
მიმდინარე დამხმარე პროცესებია:

ა) რეესტრის წარმოება;
ბ) სტუდენტური სერვისები;
გ) საბიბლიოთეკო სერვისები;
დ) ფინანსური რესურსის მართვა;
ე) ადამიანური რესურსების მართვა;
ვ) მატერიალური რესურსის მართვა;
ზ) უსაფრთხოება და წესრიგის დაცვა;
თ) საზოგადოებასთან ურთიერთობები;
ი) საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა);

ა) რეესტრის წარმოება

შეფასება აუცილებელია სტუდენტთა სტატუსის (ჩარიცხვა, შეჩერება, შეწყვეტა და ა. შ.) სამართლებრივი სიზუსტისთვის. რეესტრში დაშვებულმა შეცდომამ შეიძლება გამოიწვიოს სტუდენტის დიპლომის აღიარების პრობლემა.
რეესტრის წარმოების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება მოქმედი რეგულაციების: ,,პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესი და პირობების“ , ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ ,პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“ შესაბამისად.

პროცესი ციკლური ხასიათისაა. რეესტრის წარმოებაზე მონიტორინგი ხორციელდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ და შეფასების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსს შემდგომი რეაგირებისთვის. განმეორებითი შეფასების შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

ბ) სტუდენტური სერვისები, პროფორიენტაცია და კარიერული განვითარება

ხარისხის სამსახური ამოწმებს, რამდენად ეფექტურად მუშაობს სტუდენტური ინკლუზია, კლუბები, საჩივრების განხილვის მექანიზმები და კარიერული კონსულტაციები.

ხორციელდება

სტუდენტური სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგეგნაირად

1. პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა;
2. საკონსულტაციო და ადმინისტრაციული მომსახურების გაწევა;
3. დამატებითი (ექსტრაკურიკულური) აქტივობების განხორციელება;
4. პროფესიული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერა
5. პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია
6. კვლევის შედეგების ანალიზი

პროფესიულ სტუდენტთა კვლევისა და კვლევაში მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, პროფესიულ სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებული მექანიზმი ექვემდებარება გადახედვას, გაუმჯობესების მიზნით.
პროცესი ციკლური ხასიათისაა. კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსს შემდგომი რეაგირებისთვის. კვლევების შედეგები გამოყენებულია პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით.

გ) საბიბლიოთეკო სერვისი

ფასდება არა წიგნების რაოდენობა, არამედ რამდენად შეესაბამება ბიბლიოთეკის რესურსი კონკრეტული პროფესიული პროგრამის მოდულებს და რამდენად ხელმისაწვდომია ელექტრონული ბაზები პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისათვის.
საბიბლიოთეკო სერვისების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება :

1. საბიბლიოთეკო რესურსების შესაბამისობის უზრუნველყოფა პროგრამების სასწავლო რესურსთან;
2. საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებაზე ზრუნვა პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნების გათვალისწინებით;
3. პროფესიული სტუდენტების საკვანძო კომპეტენციების განვითარების მიზნით ბიბლიოთეკაში სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა.

შეფასებებისა და გამოკითხვის საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი გნათლების დეპარტამენტის უფროსს შემდგომი რეაგირებისთვის. შედეგებზე დაყრდნობით რეგულაციები ექვემდებარება გადახედვას პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

დ) ფინანსური რესურსის მართვა

ფასდება ფინანსური მდგრადობა. თუ უნივერსიტეტს არ აქვს სტაბილური ბიუჯეტი, საფრთხე ექმნება პროგრამის ბოლომდე მიყვანას და მატერიალური ბაზის განახლებას.
ფინანსური რესურსების მართვა ხორციელდება შემდეგ რეგულაციებსა და ინსტრუმენტებზე დაყრდნობით:

1. ბიზნესპროცესების უწყვეტობის მართვის მექანიზმები და სამოქმედო გეგმა
2. რეკომენდაციები პროგრამის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ
3. ბიუჯეტების შედგენის წესი

პროცესი ციკლური ხასიათისაა. ფინანსური გადაწყვეტილებები გამომდინარეობს ფაქტობრივი ბიუჯეტის საპროგნოზო ბიუჯეტთან შედარების და დაფინანსების დინამიკის წარმოებით. შეფასების შედეგები მიეწოდება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი გნათლების დეპარტამენტის უფროსს შემდგომი რეაგირებისათვის

ე) ადამიანური რესურსების მართვა

ფასდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის, შეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემა. მასწავლებლის კვალიფიკაცია პირდაპირ აისახება სწავლის ხარისხზე. ადამიანური რესურსის მართვა ხორციელდება შემდეგი რეგულაციებისა და ინსტრუმენტების შესაბამისად:

1. სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
2. პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურში მიღების წესი;
3. დამხმარე პერსონალის კონკურსის გზით შერჩევის წესი;
4. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი;
5. საარჩევნო დებულება;
6. შინაგანაწესი;
7. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
8. პერსონალის მართვის პოლიტიკა;
9. სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
10. პერსონალის პირადი საქმეები, სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
11. შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები;
12. პერსონალის დატვირთვის სქემის განსაზღვრა და სტატისტიკური ინფორმაციის მართვა.

პროცესი ციკლური ხასიათისაა და გამოკითხვისა და მიმდინარე პროცესების შეფასების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებები მიეწოდება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსს შემდგომი რეაგირებისათვის. განმეორებითი გამოკითხვის შედეგად ხდება რეაგირების შეფასება

ვ) მატერიალური რესურსის მართვა

ხარისხის სამსახური ამოწმებს, არის თუ არა პროგრამისთვის საჭირო სახელოსნოები, დაზგები, კომპიუტერები და მასალები საკმარისი ყოველი სტუდენტისთვის პრაქტიკული კომპონენტის ასათვისებლად.

მატერიალური რესურსის მართვა ხორციელდება შემდეგნაირად:

1. შესყიდვები (შენახვა/დასაწყობება; ჩამოწერა);
2. პროგრამების შესაბამისად სასწავლო გარემოს აღჭურვა;
3. საინფორმაციო რესურსების მართვა;
4. ადაპტირებული გარემოს მოწყობა/მართვა;
5. კომუნიკაციების მართვა (ელ. ენერგია, წყალი, გათბობა);
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი

პროცესი ციკლური ხასიათისაა და გამოკითხვისა და მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილ შეუსაბამობებზე ანგარიში მიეწოდება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსს შემდგომი რეაგირებისათვის. განმეორებითი გამოკითხვის შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

ზ) უსაფრთხოება, წესრიგისა და ჰიგიენის დაცვა

საგანმანათლებლო სივრცე ვალდებულია უზრუნველყოს ჯანსაღი, უსაფრთხო გარემო, შრომის უსაფრთხოების ნორმები (განსაკუთრებით მძიმე ტექნიკით აღჭურვილ სახელოსნოებში) და პირველადი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა.

უსაფრთხოების, წესრიგისა და ჰიგიენის დაცვა ხორციელდება შემდეგი რეგულაციების და ინსტრუმენტების შესაბამისად:

1. ლაბორატორიის გამოყენების წესი
2. პრაქტიკის განხორციელების წესი
3. სამედიცინო პერსონალის ფუნქციები
4. უნივერსიტეტში უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია

5. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
6. შრომის უსაფრთხოების მექანიზმები

პროცესი ციკლური ხასიათისაა და გამოკითხვის საფუძველზე გამოვლენილ შეუსაბამობებზე ანგარიში მიეწოდება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსს შემდგომი რეაგირებისათვის. განმეორებითი გამოკითხვის შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

თ) საზოგადოებასთან ურთიერთობები

ხარისხის სამსახური აკონტროლებს, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ან სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია პროგრამებზე, ავტორიზაციაზე იყოს ზუსტი და არ შეიყვანოს მომხმარებელი შეცდომაში.

საზოგადოებასთან ურთიერთობის შეფასება ხორციელდება შემდეგი რეგულაციისა და ინსტრუმენტის შესაბამისად:
1. საზოგადოებასთან ურთიერთობისსა და კომუნიკაციის წესი;

პროცესი ციკლური ხასიათისაა და ვებგვერდის მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ წელიწადში მინიმუმ ერთხელ ანგარიში მიეწოდება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსს შემდგომი რეაგირებისთვის.

ი) საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა)

ხარისხის სამსახური აფასებს, რამდენად შეესაბამება უნივერსიტეტის შიდა აქტები და ბრძანებები კანონმდებლობას, რადგან არასწორმა დოკუმენტბრუნვამ შეიძლება მთელი სასწავლო პროცესის ლეგიტიმურობა დააყენოს ეჭვქვეშ.
საქმისწარმოების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ,,სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესი“ შესაბამისად.
პროცესი ციკლური ხასიათისაა და მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტის უფროსს შემდგომი რეაგირებისთვის. მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ. განმეორებითი გამოკითხვის შედეგად ხდება რეაგირების შეფასება. კვლევების შედეგები გამოყენებულია პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით.

ზემოთ აღნიშნული პროცესების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი თანამშრომლობენ ყველა თანამშრომელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან/ ინსტრუქტორებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, მსმენელებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ყველა თანამშრომელი შესაბამისი პასუხისმგებლობის ფარგლებში ჩართულია ხარისხის კულტურის დამკვიდრებასა და უზრუნველყოფაში.

5. მაკორექტირებელი ქმედებები

კოლეჯის საქმიანობის პროცესების მონიტორინგი, მათი გაზომვა და ინფორმაციის შეგროვება, იძლევა მსჯელობის საშუალებას ხარისხის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ. ნებისმიერი შეუსაბამობა ფიქსირდება და ექვემდებარება ანალიზს.
მაკორექტირებელი ქმედებები გამოიყენება შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, რომლებიც გამოვლინდება:
- ყოველდღიურ საქმიანობაში;
- შიდა შემოწმებების ჩატარებისას;
- გარე შემოწმებების ჩატარებისას.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები საჭიროების შემთხვევაში ექვემდებარება გადახედვას და მასში ცვლილებების შეტანას მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

უნივერსიტეტის საქმიანობაში დანერგილი მაკორექტირებელი ქმედებების ეფექტურობის ანალიზი განიხილება როგორც უნივერსიტეტის საქმიანობის გაუმჯობესების საშუალება.